



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87. 8722361001

თარიღი:27/12/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 15**

ქ. ახმეტა 22 დეკემბერი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი, თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი, ე.ბალაკაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, ზ. ფიცხელაური, გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

სხდომა გაიხსნა 14⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის, საჯარო

მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ნინო იდიძე/

8. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე /

10. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისათვის კახეთის რეგიონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაზე ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი /

11. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომას ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი.

ბიუჯეტის ცვლილება განხორციელებულია საშემოსავლო ნაწილის ზრდით და დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებლების შიდა გადანაწილებით. აქედან გამომდინარე

ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 84,3 ათ. ლარით რომელიც განაწილდა შემდეგნაირად:

ზრდა

1. კომისარიატი - შრომის ანაზღაურება იზრდება 2,1 ათ. ლარით
2. საკრებულო - საქონელი და მომსახურება იზრდება 10,0 ათ. ლარით (ავტომანქანის რემონტისა და საკანონმდებლო მაცნვე ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხარჯი)
3. ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური - სუბსიდია + 13,0 ათ. ლარი (მუშების ხელფასის დანამატი)
4. ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტი + 7,0 ათ. ლარი (საწვავის ხარჯი)
5. ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა - სუბსიდია +7,5 ათ. ლარი (სპორტ. დარბაზების გათბობის ხარჯი)
6. ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - სუბსიდია +13,0 ათ. ლარი (გაზის დაერთების, ელექტროენერჯის ღირებულება და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენის ხარჯი)
7. ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება - სუბსიდია +9,6 ათ. ლარი (საახალწლო ღონისძიების ხარჯი)
8. ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო სკოლა - სუბსიდია +9,0 ათ. ლარი (შეშის ღირებულება და სამეურნეო საქონლის შეძენის ხარჯი)
9. ა(ა)იპ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა - სუბსიდია +7,5 ათ. ლარი (ზემო ხოდაშენში გაზის შეყვანის ხარჯი)
10. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა - სუბსიდია +1,0 ათ. ლარი (მოლის სათიბი მანქანის ნაწილებისა და საწვავის ხარჯი)
11. ა(ა)იპ ტყე-პარკებისა მოვლა პატრონობის ცენტრი - სუბსიდია +4,6 ათ. ლარი (სამეურნეო საქონლის შეძენის და ტექნიკის რემონტის ხარჯი)

სულ ზრდა: 84,3 ათ. ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № : 61,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების დამტკიცება.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ანგეზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

ბიუჯეტის პარამეტრები

შემოსულობები:

მუნიციპალიტეტის შემოსულობების ოდენობა 2023 წლისათვის განისაზღვრა 19334,8 ათასი ლარით. საიდანაც შემოსავლების ოდენობა შეადგენს 19184,8 ათას ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობის ოდენობა შეადგენს 150,0 ათასი ლარს.

შემოსავლები სახეების მიხედვით განისაზღვრა შემდეგნაირად:

საგადასახადო შემოსავლები:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 18129,8 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (15181,2 ათასი ლარი) შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2948,6 ათ. ლარით (19,4%-ით).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

Ø დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16229,8 ათასი ლარით. 2022 წლის დაზუსტებულ გეგმიურ მაჩვენებელთან (13296,2 ათ.ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია 22,06%-ით. აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

Ø ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1900,0 ათას ლარს;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (1885,0 ათ.ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 8%-ით იზრდება.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

Ø შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 495,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ü პროცენტები 200,0 ათასი ლარი.

ü რენტა 295,0 ათასი ლარი, მათ შორის : მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განისაზღვრა 150,0 ათასი ლარით, ხოლო შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 145,0 ათას ლარით.

Ø შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 85,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

ü სანებართვო მოსაკრებლები 10,0 ათასი ლარი;

ü მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 35,0 ათასი ლარი;

ü არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)

გადაცემიდან) 40,0 ათასი ლარი;

Ø შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 120,0 ათასი ლარის ოდენობით.

· არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 19334,8 ათას ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

Ø ინფრასტრუქტურის განვითარება - 2819,7 ათასი ლარი; მათ შორის:

ü საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 768,9 ათასი ლარი;

რომელიც მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- ქ. ახმეტაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ქისტაურში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 125,0 ათ. ლარი
- სოფ. საკობიანოში „მაჩუთახევზე“ რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა - 35,0 ათ. ლარი.
- სოფ. ხორბალოში სოფლამდე მისასვლელი გზის I ნაწილის რეაბილიტაცია - 183,9 ათ.ლარი.
- თანადაფინანსება - 250,0 ათ.ლარი.
- საზედამხედველო - 100,0 ათ.ლარი.
- საპროექტო - 15, 0 ათ.ლარი.
- საგზაო მოძრაობის წესების მარეგულირებელი ნიშნების დამზადება დაყენება - 10,0 ათ.ლარი.

ü სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია -182,0 ათასი ლარი,რომელიც მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- სოფ. ხადორში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა - 15,0 ათ. ლარი.
- სოფ. ყვარელწყალში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია - 60,0 ათ. ლარი;
- სოფ. ზემო ხოდამენში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა - 80,0 ათ. ლარი
- სოფ. ქისტაურში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 20,0 თ. ლარი
- საზედამხედველო 4,0 ათ.ლარი.
- საპროექტო 3,0ათ.ლარი.

ü სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია - საქონელი და მომსახურების ნაწილში (ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის ხარჯი) - 250,0 ათ. ლარი.

ü ა(ა)იპ სოფლის წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი - 555,0 ათ. ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 80,0 ათ. ლარი).

ü გარე განათება - 646,3 ათასი ლარი - მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 320,0 ათასი ლარი
- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის სუბსიდია 326,3 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა 27,5 ათ. ლარი).

ü საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია - 188,0 ათ. ლარი.

- ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩაზე სკვერის მოწყობა - 25,0 ათ.ლარი.
- ქ. ახმეტაში სააკაძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 25,0ათ.ლარი.
- ქ. ახმეტაში ლეონიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია -45,0 ათ.ლარი.
- ქ. ახმეტაში „კვირიკეს“ ეკლესიის მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია - 25,0ათ.ლარი.
- სოფ. ზემო ალვანში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 55,0 ათ.ლარი.
- საზედამხედველო - 3, ათ.ლარი.
- წყლის ხარჯი - 10,0 ათ.ლარი.

ü ტურიზმი - 229,5 ათ. ლარი.

- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (არაფინანსური აქტივების ზრდა) - 200,0 ათ.ლარი.
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის

ორგანიზაცია - ვიზით კახეთისადმი გადასაცემი გრანტის სახით - 29,5 ათ.ლარი.

Ø დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2605,7 ათასი ლარი, მათ შორის:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების გატანა და გარემოს დაცვითი ღონისძიებები. როგორცაა:

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური - 1098,5 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,6 ათ.ლარი).
- ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტი - 553,2 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 30,0 ათ. ლარი).
- ა(ა)იპ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი - 310,0 ათასი ლარი
- სანიაღვრე არხების მოწყობა 156,0 ათასი ლარი.
 - სოფელ მატანში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 50,0 ათ. ლარი
 - სოფელ ბაბანურში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 20,0 ათ. ლარი
 - ქ. ახმეტაში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 50,0 ათ. ლარი
 - სოფელ ახშანში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 30,0 ათ. ლარი
 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 2,0 ათ. ლარი
 - ტექნიკური ზედამხედველობა - 4,0 ათ. ლარი
- სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა 188,0 ათ. ლარი, საიდანაც:
 - ტექნიკური ზედამხედველობა - 5,0 ათ. ლარი
 - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი - 3,0 ათ. ლარი.
 - სოფელ ზ. ალვანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის დაცვის მიზნით ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა - 80,0 ათ. ლარი.
 - სოფელ ომალოში მდინარე ალაზანზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა - 60,0 ათ. ლარი.
 - ქ. ახმეტაში მდ. ილტოზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა - 40,0 ათ. ლარი.

Ø განათლება - 3996,6 ათასი ლარი, მათ შორის:

- ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრი - 3731,6 ათ. ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 45,0 ათ.ლარი).
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია - 220,0 ათ. ლარი.
 - სოფ. ახალშენის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 20,0 ათ. ლარი.
 - სოფ. არგოხის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 15,0 ათ. ლარი.
 - სოფ. ბირკიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 25,0 ათ. ლარი.
 - სოფ. ომალოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 15,0 ათ. ლარი.
 - სოფ. ქვ. ალვანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 50,0 ათ. ლარი
 - თანადაფინანსება 60,0 ათ. ლარი.
 - საზედამხედველო 30,0 ათ. ლარი.
 - საპროექტო 5,0 ათ. ლარი.
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 45,0 ათ. ლარი - მოსწავლეებისა და მასწავლებლების დასაჯილდოებლად.

Ø კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3006,3 ათასი ლარი , მათ შორის:

სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა - 1603,5 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა - 589,3 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,5 ათ.ლარი).
- ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა - 324,8 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,5 ათ. ლარი).
- ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“ - 233,4 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,5 ათ. ლარი).
- მუნიციპალური სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის - 31,0 ათასი

ლარი.

- **კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში - 425 ათ.ლარი.**
- სოფ. ზემო ალვანში მინი სპ. მოედნის რეაბილიტაცია - 50,0 ათ.ლარი.
- სოფ. მატანში მინი სპ. მოედნის მოწყობა 80,0 ათ.ლარი.
- სოფ. ქისტაურში სპორტდარბაზის რეაბილიტაცია 200,0 ათ.ლარი.
- ქ. ახმეტაში ცენტრალური სტადიონის ღობის რეაბილიტაცია 80,0 ათ. ლარი.
- საზედამხედველო 10,0 ათ. ლარი.
- საპროექტო 5,0 ათ. ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 1244,8 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სახანაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

- **ა(ა)იპ კულტურის ცენტრი - 749,1 ათ. ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 6,0 ათ. ლარი).**
- **ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება - 495,7 ათ. ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 10,6 ათ. ლარი).**

საინფორმაციო ცენტრი - 78,0 ათ. ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,0 ათ. ლარი).

ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 79,0 ათ. ლარი. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პატრიარქის პატრონაჟი) სუბსიდირების ხარჯი - 1,0 ათ.ლარი.

Ø ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1658,1 ათ. ლარი, მათ შორის:

- **ჯანდაცვის პროგრამები 161,9 ათ. ლარი:**
- **ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 146,9 ათასი ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა 52,8 ათ. ლარი).**
- **ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია - 15,0 ათ. ლარი.**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო მეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების შემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

- **სოციალური პროგრამები - 1496.2 ათასი ლარი:**
- ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა - 485,7 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება -275,0 ათასი ლარი;
- სტიქიური უბედურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება- 12,0 ათასი ლარი.
- მოსახლეობის ტრანსპორტის მომსახურების პროგრამა -38,0 ათასი ლარი;
- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა -15,2 ათასი ლარი
- წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების პროგრამა 40,0 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სოციალური სახლის სუბსიდირება უმწეოთათვის უფასო კვების პროგრამის განხორციელებისთვის - 630,3 ათ. ლარი (მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდა - 15,0 ათ. ლარი).

Ø მმართველობა - 5248,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- საკრებულოს დაფინანსება - 1040,2 ათასი ლარი;
- მერია - 3559,2 ათასი ლარი;
- სამხედრო აღიჭვავისა და გაწვევის სამსახურის ხარჯები-192,9 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 200,0 ათასი ლარი;
- წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა-4,5 ათასი ლარი
- სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის დასაფარი თანხა და ვალის მომსახურება 244,6 ათ. ლარი, მათ შორის ვალდებულებები კლების მუხლით - 168,3 ათ. ლარი, პროცენტი - 76,3 ათ.ლარი.
- შესყიდვებთან და აუქციონებთან დაკავშირებული ხარჯები 7,0 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ.შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № 62 : ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ.შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №63 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია 2023 წლიდან თანამდებობის პირთა სარგოების 10 %-ანი ზრდით, რაც გათვალისწინებულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით.

ბ) შესაბამისად, ცვლილებები შეტანილ უნდა იქნეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №22 დადგენილების დანართში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 64, „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოწვეულია საკრებულოს თანამდებობის პირების სარგოს ოდენობების გაზრდით, რაც გარკვეულწილად უნდა აისახოს საკრებულოს სხვა წევრთა კომპენსაციის ოდენობაზეც.

ბ) დადგენილებაში შესატანი ცვლილება აისახება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება - 19 საკრებულოს წევრი

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 65 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

/მომსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომსენებელმა გააცნო პროექტი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 6 (ექვსი) ერთეულით:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი - 1;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - 2;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი - 1;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი - 1;
- ე) საკრებულოს კომისიის მოწვეული სპეციალისტი - 1.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 55 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა როდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ნინო იდიძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება დანართისაგან, რომელიც მოიცავს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამას, სადაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადა (2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით), დაფინანსების წყარო, სოციალური ჯგუფები, სოციალური დახმარების ოდენობა, გაცემის წესი და დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია.

პროგრამის მიხედვით, სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ა) ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ცერებრალური დამბლით დაავადებული და სხვა ფსიქომოტორული და მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვები;
- ბ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ქრონიკული აუტოიმუნური დაავადების (სისტემური წითელი მგლურა) მქონე, აგრეთვე, ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღები პირები;
- გ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე, მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა);
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (18 წლამდე);
- ე) უდემამო ბავშვები (18 წლამდე);
- ვ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად მცხოვრები პირები;
- ზ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრები ოჯახები/პირები;
- თ) 95 წლის ასაკს გადაცილებული პირები;
- ი) ოჯახები პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა;
- კ) უპატრონო მიცვალებული;
- ლ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები;
- მ) უსინათლოები;
- ნ) ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები (ბავშვის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად);
- ო) დაუნის სინდრომის მქონე პირები;
- პ) აუტისტური სპექტრის მქონე პირები;
- ჟ) ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები (რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად).

რ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარების მიმღები, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, ეკონომიკურად გაჭირვებული ან სოციალურად დაუცველი ფიზიკური

პირები და ოჯახები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზნების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან;

ს) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები;

ტ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე შშმ პირები;

უ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები;

ფ) გარდაცვლილ ომის ვეტერანთა ოჯახები;

ქ) სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები;

ღ) პირები, რომელთა საცხოვრებელი სახლი ხანძრის შედეგად დაზიანდა;

ყ) ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირები;

შ) ლოგინს მიჯაჭვული და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირები :

ჩ) დიაბეტით და ფერმენტოპათიით დაავადებული ბავშვები 18 წლამდე;

ც) ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური სახლის“ უფასო კვების ობიექტების ბენეფიციარები

ძ) 100 წლის ასაკს გადაცილებული პირები.

წ) კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები.

ახალი პროგრამით სამიზნე ჯგუფებს დაემატა:

ა) კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები;

ბ) ქრონიკული აუტოიმუნური დაავადების (სისტემური წითელი მგლურა) მქონე პირები.

ა) ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი მოქმედი სატარიფო არეალით განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით) გამოკვლევების დაფინანსება, ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მკურნალობის დაფინანსება მწვავე გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომოტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედის მომსახურებისა). გადასახდელი თანხის 50%-მდე (300 ლარიდან ზემოთ) წელიწადში არა უმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა დაფინანსდებიან ის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო ის მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 000 -მდე, დაფინანსდებიან გადასახდელი თანხის 70 %-მდე, არა უმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;

გაიზარდა 1000 -დან 1500 ლარამდე

ბ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ქრონიკული აუტოიმუნური დაავადების (სისტემური წითელი მგლურა) მქონე, აგრეთვე ფსიქოტროპული მედიკამენტების მიმღები პირების შესაბამისი მედიკამენტების თანხის თანადაფინანსება, - წელიწადში არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

გაიზარდა 1000 -დან 1500 ლარამდე

გ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების, სოციალურად დაუცველი 65000- 80000-ს (ქულამდე) და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ელექტროენერჯის ან ბუნებრივი აირის გადასახადის თანადაფინანსება წელიწადში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

გაიზარდა 100 -დან 150 ლარამდე

დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (18 წლამდე) - 400 (ოთხასი) ლარი (საახალწლო კალათი - 200 ლარი, სააღდგომო კალათი - 200 ლარი);

გაიზარდა 300-დან 400 ლარამდე

ე) უდემამო ბავშვებისათვის (18 წლამდე) - 400 (ოთხასი) ლარი (საახალწლო კალათი - 200

ლარი, სააღდგომო კალათი - 200 ლარი);

გაიზარდა 300-დან 400 ლარამდე

ვ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთში) მუდმივად მცხოვრები ოჯახები - 400 (ოთხასი) ლარი (სასურსათო პაკეტი საახალწლოდ და სააღდგომოდ - 200-200 ლარი);

გაიზარდა 300-დან 400 ლარამდე

ზ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენა - 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

თ) მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების“ სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახებისთვის 15 კუბურ მეტრამდე მე-2 ხარისხის მერქნის (საშუაშე მერქნის მოცულობა მოთხოვნის შესაბამისად) შეძენის საფასური - თითოეულ ოჯახზე 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარამდე;

ი) 95 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 ლარი;

გაიზარდა 150-დან 300 ლარამდე

კ) ოჯახების დახმარება პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) პირველი ბავშვის შეძენისას - 150 ლარი, მეორე ბავშვის შეძენისას - 200 ლარი, ტყუპების შეძენის შემთხვევაში თითო ბავშვზე 200 ლარი;

პირველ ბავშვზე გაიზარდა 100-დან 150 ლარამდე

ლ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი - 300 ლარი;

მ) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯებისათვის - არაუმეტეს 1200 (ათას ორასი) ლარი, ყოველთვიურად 100 ლარი;

გაიზარდა 840-დან 1200 ლარამდე, ყოველთვიური თანხა 70-დან 100 ლარამდე

ნ) უსინათლოთათვის დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 (სამასი) ლარი;

გაიზარდა 200-დან 300 ლარამდე

ო) რეინტეგრირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების ერთჯერადი დახმარება - 500 (ხუთასი) ლარი;

პ) დაუნის სინდრომის მქონე პირთა ფულადი დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 (სამასი) ლარი;

გაიზარდა 200-დან 300 ლარამდე

ჟ) აუტისტური სპექტრის მქონე პირთა ფულადი დახმარება წელიწადში ერთხელ - 300 (სამასი) ლარი;

გაიზარდა 200-დან 300 ლარამდე

რ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი დახმარება - 500 (ხუთასი) ლარი;

ს) განსაკუთრებულ შემთხვევებში, „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე სოციალური დახმარება ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული ან სოციალურად დაუცველი იმ ფიზიკური პირების და ოჯახებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან - წელიწადში ერთჯერად არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;

გაიზარდა 1000- დან 1500 ლარამდე

ტ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება - 9 მაისის დღესასწაულისათვის - 400 (ოთხასი) ლარი;

გაიზარდა 300-დან 400 ლარამდე

უ) ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისათვის - 400 (ოთხასი) ლარი;

გაიზარდა 250-დან 400 ლარამდე

ფ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 400 (ოთხასი) ლარი;

გაიზარდა 300-დან 400 ლარამდე

ქ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე შშმ ვეტერანთა დასვენებისა და რეაბილიტაციისთვის - 600 (ექვსასი) ლარი;

ღ) ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარი (დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით)

გაიზარდა 1500-დან 2000 ლარამდე

ყ) სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირით უზრუნველსაყოფად - ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი, 4 (ოთხი) თვის განმავლობაში;

შ) ლოგინს მიჯაჭვული და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირების დახმარება ჰიგიენური საშუალებების შესაძენად ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ჩ) დიაბეტით და სხვა ფერმენტოპათიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა შესაბამისი კვების პროდუქტების შესაძენად დახმარება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

გაიზარდა 50-დან 100 ლარამდე

ც) უფასო კვების ობიექტის დაფინანსება - გამოყოფილი ასიგნების ოდენობით;

ძ) 100 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა დახმარება წელიწადში ერთხელ - 500 ლარი;

წ) კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება წელიწადში ერთხელ - არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა (კომისიის გადაწყვეტილებით)

აღსანიშნავია, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტები), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული (დევნილი), კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ბავშვიანი ოჯახები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები დახმარებას მიიღებენ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის მიუხედავად.

სხდომის თავმჯდომარემ ვენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 19

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 66 ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ზრდა 10 %-ით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022

წლის 6 აპრილის N29 დადგენილების „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის დადგენილებით დამტკიცებულ დანართ N1-ში (ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები) და დანართ N2-ში (ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები). წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თითოეულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების ზრდა 10 %-ით.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 67 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე /

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას მასზე, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 12 (თორმეტი) ერთეულით:

- ა) მიკროავტობუსის მძღოლი - 1;
- ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი - 1;
- გ) მძღოლები მერიაში - 4;
- დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტი - 1;
- ე) მერის მრჩეველი - 2;
- ვ) მერის თანაშემწე - 1;
- ზ) მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) - 1;
- თ) ტექნიკური სპეციალისტი - 1.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ. შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 56 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისათვის კახეთის რეგიონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაზე ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისათვის კახეთის რეგიონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაზე ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ.შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 57 მოისმინეს:ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისათვის კახეთის რეგიონის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაზე ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს:„ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

შეტანილ იქნას ცვლილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში და გეგმის „ნაწილი 6 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 19 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 3 გ.შორთიშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ. მუთოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 58,„ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს სხდომა დაიხურა 15:55საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

